

**უილიამ შექსპირის „ციმბელინი“:
ლიტერატურული და ზეპირი ნარატივები**

უილიამ შექსპირის პიესა „ციმბელინი“ საფუძვლად უდევს ძველი ბრიტანელი მეფის, ცინობელინუსის ლეგენდა, რომლის სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული შუა საუკუნეების ლიტერატურასა და ზეპირ გადმოცემებში. შექსპირის პიესის ძირითადი წყაროა რაფაელ ჰოლინშედის (1529-1580) ქრონიკები, რომლის თხზულებებს შექსპირი სხვა ისტორიული პიესებისთვისაც იყენებდა („მაკბეტი“, „მეფე ლირი“). ბრიტანელი მონარქის, ცინობელინუსის რეალური ცხოვრება ჯერ კიდევ ჯეფრი მანმოუთმა (დაახლ. 1100-1155) აღწერა ბრიტანელ მეფეთა ისტორიაში („Historia Regum Britanniae“). „ციმბელინის“ ძირითადი მოტივები – ცოლის ერთგულების შემოწმება, სანაძლეო და საიდუმლო ხალის ამბავი კი ჯოვანი ბოკაჩოს (1313-1375) „დეკამერონიდან“ მომდინარეობს. მიუხედავად ამ მოტივების გამოყენებისა, შექსპირის პიესა თავისუფალი ინტერპრეტაციაა ორიგინალური ქვესიუჟეტებითა და ისტორიული თემატიკის დრამატიზებით. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში „ციმბელინი“ ნაციონალური იდენტობის კონტექსტშიც კი არის გააზრებული.

ხუთმოქმედებიანი პიესა „ციმბელინი“ ბედნიერი დასასრულის გამო მიჩნეულია ტრაგიკომედიად, თუმცა შექსპირის პიესების პირველ სრულ კრებულში (1623 წლის გამოცემა) მისი სახელწოდება იყო „ციმბელინის ტრაგედია“ („The Tragedie of Cymbeline“).

მეფე ციმბელინს სამი შვილი ჰყავდა პირველი ქორწინებიდან. მისი ორი ვაჟი გიდერიუსი და არვირაგუსი ბავშვობაში ერთმა დიდებულმა, ბელარიუსმა მოიტაცა და თავისთან გაზარდა. ქალიშვილი იმოგენი მამის სასახლეში ცხოვრობდა მანამდე, სანამ არ გაექცა არასასურველ ქორწინებას კლოტენთან, მისივე დედინაცვლის შვილთან. იმოგენი მამის სურვილის წინააღმდეგ დაქორწინდა პოსთუმუსზე. განრისხებულმა მეფემ სიძე რომში გააძევა. რომში პოსთუმუსი შეხვდა ცბიერ იაკიმოს, რომელმაც გამოიწვია სანაძლეოს დასადებად – თუ იაკიმო პოსთუმუსის ცოლს შეაცდენდა, მის ქონებას დაეპატრონებოდა. ცოლის ერთგულებაში დარწმუნებული პოსთუმუსი იაკიმომ

სასტიკად გააცურა. ის სკივრში დამალული შეიპარა მძინარე იმოგენის ოთახში, მოპარა ქმრის ნაჩუქარი სამაჯური და მის მკერდზე ხალი დაინახა, რომლის აღწერითაც მან სანაძლეო მოიგო. სასოწარკვეთილმა პოსთუმუსმა თავის მსახურს, პისანიოს უბრძანა, მოეკლა იმოგენი. მსახურმა არ შეასრულა ბატონის დავალება და იმოგენს გაქცევაში დაეხმარა. კაცად გადაცემულმა იმოგენმა სახელად „ფიდელე“ (ლათ. ერთგულება) დაირქვა და შემთხვევით ტყეში დაუმეგობრდა თავის უცნობ ძმებს. ბევრი ფათერაკის შემდეგ იმოგენი რომაელთა ჯარის სამსახურში ჩადგა. რომაელებსა და ბრიტანელებს შორის ბრძოლა თავიდან ბრიტანელებისთვის არასასიკეთოდ მიმდინარეობდა. როცა რომაელები ბრიტანეთს მოადგნენ, პოსთუმუსი, რომელიც მანამდე რომაელთა ჯარში იბრძოდა, ბრიტანეთის მხარეს გადმოვიდა. ომი ბრიტანეთის გამარჯვებით დამთავრდა. მეფე ციმბელინმა თავისი დაკარგული შვილები იპოვა, ხოლო იმოგენი და პოსთუმუსი კვლავ ბედნიერ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. იაკიმომ პოსთუმუსს წართმეული ქონება დაუბრუნა და სასჯელისთვის მოემზადა, მაგრამ პოსთუმუსმა დიდსულოვნად მიუტევა მას დანაშაული.

ქალის პატიოსნებაზე დადებული სანაძლეოს თემა ხშირია ხალხურ ნოველისტურ ზღაპრებში როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ფოლკლორში. „ზღაპრის სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებელში“ ეს ტიპი აღწერილია 882-ე ნომრად რეალისტური ზღაპრების კატეგორიაში:

ქმარი აქებს თავისი ცოლის პატიოსნებას და მასზე სანაძლეოს დაუდებს მეგობარს (ბიზნესპარტნიორს, ვაჭარს ან მეტოქეს). მოსყიდული მსახურის მეშვეობით გმირის მოწინააღმდეგე ცდილობს შეაცდინოს ქალი, საიდუმლოდ შედის მის ოთახში (ყუთში დამალული). ქალს არ ეკარება, მაგრამ ხედავს მის თანდაყოლილ ნიშანს მკერდზე (ან მოაქვს რაიმე ნიშანი: ბეჭედი, ტანსაცმელი) და ამბობს, რომ ქალი შეაცდინა. ქმარი ცოლის მოკვლას უბრძანებს მსახურებს სახლიდან მიდის. ქალი გაექცევა მკვლელებს და კაცის ტანსაცმელში გადაცმული მოგზაურობს. ის მოიპოვებს მალალ თანამდებობას სხვა სამეფო კარზე. იქ ხვდება თავის ქმარს და დაუმტკიცებს თავის უმწიკვლობას. ზოგ ზღაპრის ვარიანტში ქალი მისდევს თავის ქმარს და ემსახურება რამდენიმე წლის მანძილზე (კაცის ტანსაცმელში გადაცმული). ბოლოს მატყუარას ამხილებენ და წყვილი კვლავ შეერთდება (ATU 882).

ხალხური ნოველის ამ ტიპის მრავალრიცხოვანი მაგალითები არსებობს, რომლებიც ლიტერატურულ და ზეპირ გადმოცემათა შორის ძლიერ ურთიერთგავლენაზე მეტყველებს.

ლიტერატურული წყაროები

მწიგნობრული და ზეპირი ტრადიციების მუდმივი ურთიერთ-კავშირის გათვალისწინებით, ATU 882-ის პერსონაჟი ქალი ლიტერატურისმცოდნეობით კონტექსტშიც უნდა განიხილებოდეს, რადგან ლიტერატურულ დისკურსში იმავე სტერეოტიპებს ვხვდებით, რასაც ზეპირ გადმოცემაში.

არსებითი მოტივები – სარისკო სანაძლეო, ქალის საიდუმლოს გაგება უცხო პირის მიერ, გმირის დევნა და სასიკვდილოდ გამეტება, ეჭვიანი ქმრის მოგზაურობა, დამნაშავესთვის ნიღბის ჩამოსხნა – საერთოა ფოლკლორული და ლიტერატურული ტექსტებისთვის. ევროპულ ლიტერატურაში ეს თემა ფსევდონიმური პერსონაჟებს – კრესცენციასა და ჰილდეგარდისს უკავშირდება.

შუასაუკუნეების გერმანულ ისტორიულ პოემაში „იმპერატორთა ქრონიკა“ (დაახლ. 1140-1150) გადმოცემულია ასეთი ამბავი:

რომის იმპერატორი დიტრიხი შინ არყოფნის დროს თავისი მეუღლის, კრესცენციას მფარველობას სთხოვს ძმას, რომელიც ფარულად შეყვარებულია ქალზე. კრესცენცია უარყოფს მამლის სიყვარულს და მოახერხებს მისგან თავის დაცვას – კოშკში მოტყუებით ჩაკეტავს, სანამ ქმარი დაბრუნდება. მამლი ცილს სწამებს რძალს ლალატში. იმპერატორი დიტრიხი დაუფერებს ძმას და ცოლის დასჯის ბრძანებას გასცემს. კრესცენცია სასწაულებრივად გადაურჩება წყალში დახრჩობას. მას მეთევზე გადაარჩენს. კრესცენცია გაიქცევა სხვა ქვეყანაში, სადაც ჰერცოგის შვილის ძიძა გახდება. ერთი შურიანი მოხელე ჰერცოგის კარზე კრესცენციას შეცდენას დააპირებს, მაგრამ მისი ცივი უარის შემდეგ კლავს ჰერცოგის შვილს და დანაშაულს კრესცენციას დააბრალებს. კრესცენციას კვლავ დაუპირებენ წყალში დახრჩობას, მაგრამ ის წმინდა პეტრეს წყალობით გადაურჩება და შეიძენს ღვთაებრივ უნარს, განკურნოს ავადმყოფები. კრესცენცია განკურნავს დარდისგან ლოგინად ჩავარდნილ ჰერცოგსა და თავის ქმარს, რომლებიც საკუთარი ცოდვებისგან დაისაჯნენ. იმპერატორი დიტრიხი იცნობს თავის ცოლს და ორივენი მონასტერში მიდიან [უთერი 1981: 168].

ამ ამბის მსგავსია ჟენოვევას - არაკანონიკური წმინდანის ფსევდონიმური, რომელიც ჩართულია მარტინ ფონ კოხემის (1634-1712), კაპუცინთა ორდენის მღვდლის რელიგიურ თხზულებაში:

გრაფი ზიგფრიდი ბედნიერად ცხოვრობდა თავის ღვთისმოშიშ ცოლთან, ბრაბანის ჰერცოგის ასულ ჟენოვევასთან ერთად. ერთხელ, როცა გრაფი საომრად წავიდა, მეუღლე თავის მსახურს, გოლოს ჩააბარა. ჟენოვევაზე შეყვარებულმა და მისგან უარყოფილმა გოლომ შურისძიების მიზნით ქალს მზარეულთან ლალატში დასწამა ცილი და

დილეგში ჩაამწყვდია. ქმარმა დაიჯერა ცოლის ღალატი და ბრძანა, ცოლიც და შვილიც მოეკლათ. მსახურებს შეეცოდათ დედა-შვილი, არ მოკლეს, ტყეში დატოვეს და სასჯელის აღსრულების ნიშნად გოლოს ძაღლის თვალეები და ენა წაუღეს. ჟენოვევამ და მისმა ვაჟმა გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ჟენოვევას სასწაულებრივი საზრდო მოუვლინა ღმერთმა. ანგელოზმა მას ჯვარი მისცა, მეწველი ირმისგან საკვებს იღებდა, ხოლო მგელმა ცხვრის ტყავი მოუტანა ბავშვის შესამოსად. ომიდან შინ დაბრუნებულმა გრაფმა ინანა თავისი ნაჩქარევი გადაწყვეტილება, როცა ჟენოვევას დატოვებული წერილი წაიკითხა. გავიდა შვიდი წელი. ერთხელ, ნადირობისას გრაფი ირემს დაედევნა, რომელმაც ჟენოვევას გამოქვაბულთან მიიყვანა. ქმარმა იცნო თავისი ცოლი და კვლავ სასახლეში დააბრუნა. ბოროტი მსახური დასაჯეს. ჟენოვევას დიდხანს აღარ უცოცხლია. მას ხილვა ჰქონდა, რომ ღვთისმშობელმა ანგელოზების დასთან ერთად ზეცაში წაიყვანა. ამის შემდეგ ჟენოვევა გარდაიცვალა. გრაფმა ცოლის სახელზე ტაძარი ააშენა და ვაჟთან ერთად მთელი ცხოვრება განდევილობაში გაატარა იმავე გამოქვაბულში, სადაც მანამდე ჟენოვევა ცხოვრობდა [ვანია 1987: 1004].

ქორწინებისა და ღალატის თემატიკა ხშირია ევროპულ ისტორიულ თქმულებებშიც. ჟენოვევა და კრესცენცია ფსევდოისტორიული პერსონაჟები არიან. რეალურად არსებული პიროვნება, რომელსაც უდანაშაულოდ უყენებენ ბრალდებას, არის ჰილდეგარდისი (758-783), იმპერატორ კარლოს დიდის მეორე ცოლი. მასაც იგივე ამბავი გადახდა, რაც კრესცენციასა და ჟენოვევას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისი უდანაშაულობა სასწაულით დამტკიცდა: როცა ქმარმა მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა, სამსჯავროზე დიდებულები მოიწვია. ამ დროს მოხდა სასწაული – ტაძარში შემოსულ მზის სხივზე ჰილდეგარდისის ხელთათმანი გაჩერდა, რაც მისი უმწიკვლობის დასტური იყო [მააცი 1990: 1018].

ერთგულებაში ეჭვის შეტანის თემა პოპულარულია შუა საუკუნეების ევროპულ საერო ლიტერატურაშიც. ყველა სიუჟეტი მსგავსია: ქმრის არყოფნაში მაზლი ან რომელიმე დიდებული ცდილობს ქალის შეცდენას, მაგრამ ამოდ და შურის გამო მას ცილს დასწამებს ღალატში.

ამგვარ თემებზეა აგებული მე-13 საუკუნის ფრანგული პოემა „Le Comte de Poitiers“, ამავე პერიოდის რომანები „Le Roman du Roi Flore et la belle Jeanne“, „Le Roman de la Violette des Gerbert de Montreuil“, მე-14 საუკუნის დრამა „Comment Ostes, roy d’Espagne perdi sa terre par gager contre Beregnier“, რომლის გავლენით მე-15 საუკუნეში შეიქმნა “Histoire de Gérard de Nevers et de la belle et vertueuse Euryanthe” და მე-18 საუკუ-

ნემდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც - გერმანულად თარგმნა ფრიდრიხ შლეგელმა (1772-1829), ხოლო კომპოზორმა კარლ მარია ფონ ვებერმა (1786-1826) თავისი ოპერის, „ვერიანტეს“ ლიბრეტოდ გამოიყენა [მოზერ-რათი 1981: 191-192].

შუა საუკუნეების ფრანგულ რომანებში მთავარი გმირი ფეოდალური წრის წარმომადგენელია. უდანაშაულოდ ბრალდებული ქალი ნებისყოფასა და ხასიათის სიმტკიცეს ავლენს, მაგრამ არ არის აქტიური პერსონაჟი და უკანა პლანზე დგას.

მეორენაწილისხოვან პერსონაჟებად არიან წარმოდგენილი ქალები შუა საუკუნეების ეპიკურ ნაწარმოებებში. ისლანდიურ საგებში ქალები მაშინ შემოდინან სიუჟეტში, როცა მოქმედების განვითარებისთვის არიან აუცილებელი, ძირითადად ცოლის, მოახლის ან ჯადოქრის ფუნქციით. საგმირო რომანების კეთილშობილი ქალებიც პასიური პერსონაჟები არიან. ისინი არ არიან წარმოდგენილი როგორც რეალური ადამიანები, არამედ როგორც კაცების სამყაროში მოქცეული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სიმბოლოები [მოზერ-რათი 1987: 104]. დიდგვაროვანი ქალები პლატონური სიყვარულის ობიექტები არიან მაშინ, როცა დაბალი ფენის გოგონებისა და რაინდების სასიყვარულო ურთიერთობები ნაკლებად იდეალიზებულია. გასართობი ფუნქცია ჰქონდა აგრეთვე იმ ხალხურ ნოველებს, რომლებიც მოღალატე ცოლის თემაზე იყო აგებული.

შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში ქალის ამბივალენტური სურათს ვხედავთ, რომელიც ბიბლიიდან იღებს სათავეს – ევასა და ღვთისმშობლის კონტრასტიდან. ამის მაგალითები მრავლად არის მე-16-18 საუკუნეების ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ სატირაში [მოზერ-რათი 1987: 106].

კაცად გადაცმული ქალის ეპიზოდი პირველად მე-14 საუკუნის იტალიურ ვერსიებში გვხვდება ანონიმი ავტორის თხზულებაში და ამით ბოკაჩოს „დეკამერონში“ ჩართულ ამბავს ჰგავს. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ იტალიური სიუჟეტები ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია. მათი მოქმედების ადგილი არის პარიზი, გენუა და აღმოსავლეთის ქვეყნები. მოქმედი პირები ვაჭართა წრის წარმომადგენლები არიან [მოზერ-რათი 1981: 192]. „დეკამერონის“ ფართოდ გავრცელების შედეგად და მისი გავლენით შეიქმნა მე-17 საუკუნეში რამდენიმე გერმანული და ესპანური დრამატული ნაწარმოები. „დეკამერონმა“ დიდი როლი ითამაშა ლიტერატურული სიუჟეტების ფოლკლორულ გადაამუშავებებშიც.

კაცის ტანსაცმელში შენიღბვას შექსპირის პიესაში დიდი დრამატული დატვირთვა ენიჭება, არსებითად, აქედან იწყება იმოგე-

ნის მოქმედება და ბრძოლა სამართლიანობისთვის (მოქმედება III, სცენა V):

იმოგენ:

There's more to be consider'd; but we'll even
All that good time will give us. This attempt
I am soldier to, and will abide it with
A prince's courage. Away, I pr'ythee.¹

იმოგენის საბრძოლო განწყობას პიესაში ჰეროიკული სცენები აძლიერებს. შექსპირის „ციმბელინი“ რომის ეპოქის ქრონიკებსა და ინგლისის ისტორიას ეყრდნობა. სწორედ ამიტომაც ინგლისური რენესანსის მკვლევარი ენდრიუ ესკობედო ამ პიესას მოაზრებს, როგორც შექსპირის სკეპტიციზმის გამოვლინებას ეროვნული იდენტობის მიმართ. იგი „ციმბელინს“ ისტორიულ პიესებთან ათანაბრებს, როგორც წყაროს ეროვნული ცნობიერების შესწავლისთვის.²

მიუხედავად იმისა, რომ „ციმბელინის“ სიუჟეტი ისტორიული ქრონიკებიდან მომდინარეობს, მეცნიერები უფრო დამაჯერებლად მიიჩნევენ „დეკამერონის“ გავლენას იმოგენის, პოსთუმუსისა და იაკიმოს ამბავთან დაკავშირებით.

ფოლკლორული წყაროები

უდანაშაულოდ ბრალდებული და დევნილი ქალის ამბავი მოტივთა ის კომპლექსია, რომელიც აერთიანებს ცილისწამებას, დასჯას, სასწაულებრივად გადარჩენას და შემდგომ რეაბილიტაციას. ამ სიუჟეტის ძირითადი შტრიხები ჯერ კიდევ ძველ ინდურ და აღმოსავლურ ფოლკლორში გვხვდება და ფართოდ არის გავრცელებული ხალხურ თეატრალურ სანახაობებშიც.

1 ბევრ რამეზე დაფიქრდები; მაგრამ ჩვენ შესაფერის დროს დაველოდებით. მეც ჯარისკაცი ვარ, და უკან არ დავიხევ, როგორც გამბედავი უფლისწული. წავიდეთ, გთხოვ.

2 „შექსპირის გვიანდელი პიესა ეროვნულობის ორი ვერსიის დრამატიზებას ახდენს: ბრიტანელი ერი, მოუხერხებლად ჰეტეროგენული მაგრამ დაკავშირებული ანტიკურობასთან; და ინგლისელი ერი, პოტენციურად ჭეშმარიტი, მაგრამ გამიჯნული ტრადიციისგან. პიესის პროტაგონისტ პოსთუმუსი, ჩართულია ძველი ბრიტანული დინასტიის ისტორიაში, მაგრამ არასოდეს (ჩვენდა გასაკვირად) არ ასრულებს რაიმე დინასტიურ როლს; ის ჩნდება იმისთვის, რომ ინგლისელი ერის მოდელი დაახასიათოს როგორც „უფესვო“ ამგვარად, „ციმბელინი“ გვთავაზობს იმას, რომ სამეფო შეიძლება შეიცვალოს ბრიტანიიდან ინგლისისკენ – შეიძლება შეიცვალოს წარმოდგენა თავის თავზე როგორც გაერთიანებაზე, რომელსაც ჩვენ დავარქმევდით „თანამედროვე“ ერს – მხოლოდ სიძველის და ღირსეული წარმომავლობის გამო“ [ესკობედო 2008: 60-87].

ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო საძიებელში ეს სიუჟეტი დაფიქსირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე და მისი მრავალრიცხოვანი ვერსიები არსებობს: ინგლისურ-კანადური, ფრანგულ-კანადური, მექსიკური, ბრაზილიური, ფინური, შვედური, ესტონური, ლიტვური, ლატვიური, დანიური, ისლანდიური, ირლანდიური, ინგლისური, პორტუგალიური, ფლამანდრიული, გერმანული, ავსტრიული, იტალიური, სარდინიული, უნგრული, ბულგარული, პოლონური, რუსული, ბელორუსული, უკრაინული, ქართული, ოსური, თურქული, ბოშური, ტაჯიკური, სირიული, პალესტინური, იორდანული, იემენური, ირანული, ინდური, ინდონეზიური, ეგვიპტური, მაროკოული, ტუნისური, ალჟირული და სხვა.

ქართულ ნოველისტურ ზღაპრებში ATU 882 ტიპის ვერსიები საკმაოდ რაოდენობით გვხვდება, ისინი გავრცელებულია როგორც ალმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში ამგვარი ზღაპრების სხვადასხვა ვარიანტი ინახება, რომლებიც მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებშია ჩაწერილი: ID 4514 ფაქ58; ID 4515 ფაქ58; ID 18459 ფაი81; ID 23457 ბსკიფა2; ID 23681 ფაუფ0002. ყველა ამ ზღაპარში მოქმედება ქალაქურ გარემოში ვითარდება და კაცად გადაცმის მოტივიც ყველა ვერსიაში გვხვდება. ნიმუშისთვის მოყვანილია ქართლური ვარიანტის სრული ტექსტი:

„ვაჭრები თურმე სხვადასხვა სახელმწიფოში მიდიოდნენ სავაჭროდ. წავიდენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში სავაჭროდ, იქიდან საქონლის შემოსატანად. სხვათა სახელმწიფოში მოიყარეს თავი ამ ვაჭრებმა ერთ სახლში, დაიწყეს იქ საუბრობა: ჩვენ აქა ვართ გამოგზავნილი და ვინ იცის, ჩვენ ცოლებთან ვინ ერთობაო. ეხლა ერთ-ერთი ნამუსიანი კაციც ერია ამათში და ნამუსიანი ცოლიც ჰყავდა. ამ კაცმა თქვა, ჩემი ცოლი არასოდეს სხვაზე არ გამცვლისო და არ გამიბრძვივდებაო. მერე ერთმა ხუმარა კაცმა კითხა, მე შენი ცოლი თუ შევაცდინე, შენი ქონება ჩემი იყოს და ჩემი კი შენიო, ეხლავე ვლებ ხელშეკრულებასო. წამოვიდა ეს კაცი იმ სახელმწიფოდან და მივიდა ამ ვაჭრის ოჯახში. მივიდა იმ კაცის ცოლთან და უთხრა, მე შენი ქმარი ვნახეო. ქალმა როგორც სტუმარი ისე მიიღო და პატივი სცა. კაცმა დაიწყო სხვანაირი ლაპარაკი. ქალმა სტაცა ხელი და გააგდო გარეთ. დაღონდა ვაჭარი. არაფერი რომ არ გამოუვიდა და გადასწყვიტა ღონე ეხმარა. მიასწავლეს ერთ დედაბერთან და უთხრეს, ის გასწავლის ყველაფერსო. მივიდა ვაჭარი დედაბერთან და უთხრა, ასე და ასე მაქვს საქმეო და თუ გამიკეთებ, დიდძალ ქონებას მოქცემო. მაშინ დედაბერმა უთხრა, არა მაგ საქმეს მე ვერ გავაკეთებ, რომ გაიგოს

იმ კაცმა, შენც მოგკლავს და მეცო. მაშინ ვაჭარმა ფული დაახარბა. დედაბერი მოთაფლა. მაშინ დედაბერმა უთხრა, მე ერთ ზანდუკს შევკრავ, შენ შიგ ჩაგსვამო. მიუტან ამ ქალს და მერე შენ იციო. კარგიო, უთხრა ვაჭარმა. დედაბერი ასეც მოიქცა. გაამზადა ზანდუკი, ჩასვა ეს კაცი, ზურგზე მოიკიდა და მიადგა იმ ქალის კარებს და უთხრა, ამ ზანდუკს ერთი ღამით თუ შემიწინავეო. ქალმა უთხრა, როგორ არაო. მაშინ დედაბერმა უთხრა, ამ ზანდუკში ოქრო-ვერცხლი მაქვს და თუ შეიძლება, სადაც შენ წვები, იქ შემიწინავეო. კარგიო, უთხრა ქალმა და მის საძინებელ ოთახში შეატანინა და დაადგმევინა. როდესაც დაღამდა, ქალმა გეიხადა ტანზე და დაწვა. მაშინ კაცი ამოვიდა ზანდუკიდან და დაინახა მკერდზე ხალი. აილო ქალის ძვირფასი ტანსაცმელები და ჩამალა ყუთში. მეორე დღეს ბებერმა მოიკითხა ყუთი და წაიღო. გახარებული კაცი გაიქცა იმ სახელმწიფოში, სადაც ამ ქალის ქმარი იყო. უამბო ყველაფერი. ასე და ასე არის შენი ცოლიო და ამა და ამ ადგილზე ხალი აქვსო. ეს კაცი წაგებულები დარჩა და თავისი ქონება ამ კაცს მისცა. ეს კაცი დაბრუნდა თავის სახელმწიფოში წაგებულები. სანამ სახლში მივიდოდა, მან დაუძახა ერთ მოჯამაგირეს და უთხრა, რომ წადი, ჩემი ცოლი მოჰკალი და მისი კაბა სისხლში ამოსვრილი მომიტანეო. რა თქმა უნდა, დათანხმდა მოჯამაგირე და მივიდა ვაჭრის ცოლთან და უთხრა, თქვენი ქმრისგან თქვენი მოკვლა მაქვს დავალებულიო. ქალს ძალიან გაუკვირდა და შემდეგ მოჯამაგირეს უთხრა, შენ ერთ რამეს დაგავალე და გამიგონეო. კარგიო, უთხრა მოჯამაგირემ. მაშინ ქალმა უთხრა, მე ერთი მამალი მყავს, წადი ის მამალი დაკალი, ამოსვარე ჩემი კაბა იმ სისხლში და მიუტანეო, ხოლო მე მამაკაცურად ჩავიცვამ და გავიქცევი ამ სახელმწიფოდანო. მაშინ შენც გადარჩები და მეცო. მართლაც, ასე მოიქცნენ. მოჯამაგირემ დაკლა მამალი – მოსვარა სისხლში ქალის კაბა და ვაჭარს მიუტანა. ამ ქალმა მამაკაცურად ჩაიცვა და გაიპარა სხვა სახელმწიფოში. ბევრი სიარულის შემდეგ მიადგა ერთ ზღვას და მივიდა ერთ გემთან და გემის მებატონეს უთხრა, თუ შეიძლება, მე შენთან ვიმუშავო მუშათო. მაშინ ბატონმა დიდის ამბით მიიღო და დაიწყო მუშათ მუშაობა, როგორც კაცი. რადგან კარგ მუშათ გამოირჩეოდა, მებატონეს ძალიან შეუყვარდა ეს მუშა. ერთხელ გემის პატრონმა დიდძალი ქეიფი მოაწყო. ამ ქეიფს დაესწრო დიდებული ფაშა. ფაშას მოეწონა ამ კაცის სამსახური, სინამდვილეში ქალი და გემის პატრონს სთხოვა, ეს ქალი მისთვის დაეთმო. გაუძნელდა გემის პატრონს, მაგრამ მისი დიდი ხათრი ჰქონდა და გაატანა. აქ ერთი დღე იყო ისეთი, რომელიც ბაზრობას ჰქონდა დათმობილი და ამ ბაზრობაზე ყველა სახელმწიფოდან მოდიოდნენ ვაჭრები და მოჰქონდათ საქონელი. ამ დღეს ყველაზე ადრე ეს კაცი

მოვიდა, რომელმაც თავისი ქმარი მოატყუილა და ამ ქალს სთხოვა, რომ კარგი ადგილი მოეძებნა მისთვის. ქალმა მართლაც ისეთი ადგილი ამოურჩია, რომ სადაც კარგი გასაგალი ექნებოდა მის საქონელს. მეორე დღეს გაიმართა დიდი ბაზრობა. ამ კაცმა ამოიღო თავისი საქონელი გასაყიდდად. ამ ქალმა გაიხედა და იცნო თავისი საცვლები, რომლის მსგავსი არსად არ იყო. ქალმა უთხრა, ეს საცვლები მომიყიდე, საცოლისთვის მინდაო. მისცა ვაჭარმა ეს და ქალმა შეინახა ეს ნივთები. დაუახლოვდა ეს ქალი, ვითომ კაცი, ამ ვაჭარს და ჩუმიად ჰკითხა, სად გიშოვნია ეს ძვირფასი საცვლებიო. მაშინ ყველაფერი მოუყვა ამ კაცმა, იქ როგორ მოხდა ეს ამბავი. მაშინ ამ ქალმა უთხრა, რა სხვა სახელმწიფოებში იარები, მე შენ დიდძალ ბაზარს გაგიხსნი აქო. მხოლოდ ის კაცი, რომელიც შენ მოატყუილე, აქ მომიყვანეო. რა თქმა უნდაო. და მოიყვანა ის ვაჭარი და დააწყებია ცოტ-ცოტა ვაჭრობა. მხოლოდ კაცი ვერ ცნობილობდა თავის ცოლს. ერთ დღეს იმ ქალმა უთხრა ფაშას, მოდი, ერთ დღეს წვეულება გავმართოთო და დაუძახოთო ღირსეულ ადამიანებსო. ფაშაც დათანხმდა და მოიწვია წვეულება, სადაც ეს ორივე ვაჭარი იყო. ქეიფის დროს ამ ქალმა მოითხოვა სიტყვა. მისცეს სიტყვა და დაიწყო ამ ქალმა, რომ მე ამა და ამ კაცის ცოლი ვარ და ამ ვაჭარმა ცრუ საქციელით ჩვენ დაგვაშორა ერთმანეთთან და მთელი ქონება წაართვაო და ქალმა კაცის ტანსაცმელი გაიხადა და ფაშას მიმართა: დიდებულო ფაშავ, ეხლა მითხარი, რა ეკუთვნის ამ კაცსო. მაშინ ფაშამ სიკვდილით დასაჯა ეს ვაჭარი ბოროტი საქციელის გაკეთებისთვის. ეს ქალი თავის ქმარს დაუბრუნა და დაიწყო ბედნიერი ცხოვრება“ [ლიტ. ინსტ., ID 4514, ფაქ58, გვ237].

ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ცვლილების ფენომენია. ზღაპრის მოტივსა თუ კომპოზიციას, შესაძლოა, რამდენიმე ვარიაცია ჰქონდეს და ყოველთვის არ არის ადვილი გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი დგას უფრო ახლოს თავდაპირველ ფორმასთან. საწყისი მოტივი ხშირად სრულიად გადასხვაფერებულია ცვლილების გამო, მაგრამ ცვლილება შეიძლება თვითონვე გადაიხაროს ძველი ფორმისკენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ დაიმკვიდრებს თავს. თუ მოტივი განსაკუთრებულად პოპულარულია, ეს სხვადასხვა მთხრობელის ახალ ინტერპრეტაციებს განაპირობებს. ცნობილი შვედი ფოლკლორისტის, კარლ ვილჰელმ ფონ სიდოვის შენიშვნით, ტრადიციულ მთხრობელებს ყოველთვის აქვთ რამდენიმე ალტერნატიული გზა მოტივთა ცვლილებებში. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია დავიწყებით, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ ამბავი უკეთ მოერგოს მის შეხედულებებს, გემოვნებას ანდა სხვა მოტივებს ცნობილი ზღაპრებიდან და ლიტერატურული ნაწარმოებებიდან [ფონ სიდო-

ვი 1965: 237]. ATU 882-ის ქართული ვერსიები ფოლკლორული გზით შექმნილი ჩანს, თუმცა არ გამოირიცხება ლიტერატურული გავლენაც. 1912 წელს ქუთაისში შექსპირის პიესები, მათ შორის „ციმბელინიც“ გამოიცა, რომელიც ბავშვებისთვის იყო ადაპტირებული [შექსპირი 1912: 49-69]. თხრობას ლიტერატურული ზღაპრის სტილი აქვს და ორიგინალური ტექსტიდან ზოგიერთი ეპიზოდი ამოღებულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხალხური ზღაპრის ზოგიერთ მთხრობელს ეს ლიტერატურული წყაროც გამოეყენებინა ინტერპრეტაციისთვის.

ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროების ურთიერთ-მიმართების კვლევაში ფილოლოგისა და ფოლკლორისტიკის თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია. ფილოლოგები ლიტერატურული მასალის მიწოდებით დიდ სამსახურს უწევენ ფოლკლორისტიკებს და, პირიქით, ზეპირი მასალა არანაკლებ ღირებულია უძველესი ლიტერატურული წყაროების ადგილის განსაზღვრისა და ნარატივის აღდგენისთვის, რომელიც ზოგჯერ ფრაგმენტულად ან დაზიანებული სახით არის შემორჩენილი.

ზეპირ და ლიტერატურულ ნარატივთა ურთიერთმიმართება

უძველესი ეპოქიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით, ინფორმაცია თხრობის ტრადიციის შესახებ მეტად მწირია. ამის გამო, თანამედროვე ფოლკლორისტიკაში მუდმივად აქტუალურია კითხვა: რამდენად ძველია ხალხური გადმოცემები, რომელთა ინტენსიური ფიქსაცია ძირითადად მე-19 საუკუნეში დაიწყო და გაცილებით ნაკლები ჩანაწერი არსებობს გვიან შუა საუკუნეებსა და ახალ ეპოქაში?

ხალხური ნოველისტური ზღაპრები, რომლებიც შექსპირის პიესებში ხშირად არის ინტერპრეტირებული, უანობრივად უფრო გვიან არის ჩამოყალიბებული, ვიდრე ჯადოსნური ზღაპარი. ხალხური ნოველის, იგივე საყოფაცხოვრებო ზღაპრის განვითარებას, ევროპელი მეცნიერები არაუადრეს გვიან შუა საუკუნეებს უკავშირებენ [მოზერი 1977: 410].

გვიანანტიკურმა ქრისტიანულმა ეპოქამ ევროპულ შუა საუკუნეებს მემკვიდრეობად დაუტოვა ანტიკური ეპოსი. ეპიკური ტრადიცია გაგრძელდა და გაძლიერდა ქრისტიანული ლიტერატურისა და ბიბლიის წყალობითაც. ბიზანტიურმა რომანმა გავლენა მოახდინა როგორც ევროპულ, ისე მცირეაზიურ ლიტერატურაზე. ცნობილია, რომ აღმოსავლური ზღაპრისა და ქრისტიანული აპოკრიფის ელემენტებით გამდიდრებულმა ბერძნულმა რომანმა ერთგვარი ზემოქმედება მოახდინა ფრანგულ რომანსა და მცირე და შუა აზიის რომანულ ეპოსზე [მელეტინსკი 1983: 271]. ბიზანტიური შუა საუკუნეების რომა-

ნი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის დასავლური და აღმოსავლური შუა საუკუნეების რომანის ფორმირებაში, ფოლკლორული ტრადიციით იყო ნაკვები. ამას ადასტურებს მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში გავრცელებული საერთაშორისო სიუჟეტები.

თქმულება და სიმღერა, როგორც პირველადი ფენომენები, ქმნიან ფოლკლორული ნაწარმოების საფუძველს, ხოლო ეპოსი როგორც მეორადი ფენომენი, მომდინარეობს მწიგნობრობიდან. მათ მათ შორის ურთიერთგავლენა მუდმივად არსებობს. მაგალითად, გვიანანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ლათინურ ლიტერატურაში ხალხური თქმულებებისა და სიმღერების ელემენტებიც შევიდა, ქრისტიანულმა აგიოგრაფიამ კი გავლენა იქონია ხალხურ საგმირო გადმოცემებზე [ვოლფი 1995: 10].

ზეპირსიტყვიერებიდან მწიგნობრობამდე გარდამავალი საფეხურის დასაწყისში ინგლისის ხალხური სიტყვიერება წინააღმდეგობრივ სურათს გვაძლევს. მედიევისტურ კვლევებში აღნიშნულია, რომ შუა საუკუნეების ინგლისური ფოლკლორი ორიენტირებულია მთხრობლებზე: „ერთი მხრივ, მთხრობელი იჩენს ტენდენციას, იდენტიფიკაცია მოახდინოს პოეტური ნიმუშის ავტორთან, მეორე მხრივ, არ იძლევა მკაფიო მითითებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა მთხრობელსა და ავტორს შორის განსხვავებას: მას შემდეგ, რაც მთხრობლის გამოგონილი ფიგურა აღმოაჩინეს, მაშინვე შესაძლებელი გახდა, მთხრობელსა და ავტორს შორის საზღვრები დადგენილიყო“ [კოლი 1988: 135].

მიუხედავად ლიტერატურული წყაროების რაოდენობრივად უპირატესობისა, ზეპირსიტყვიერების აქტუალობა ნებისმიერ ეპოქაში გარდაუვალი ფაქტია. თხრობა, როგორც მუსიკა, მხოლოდ ცოცხალი შესრულებით არსებობს. მუსიკალური ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთშედარება ნათელს ხდის ზეპირი და ლიტერატურული წყაროების თანაარსებობასაც: „თუ სიტყვები მხოლოდ ბეჭდური სახით არსებობს, ისინი დაიკარგება. ეს ფაქტიც კი აქარწყლებს ბევრი ნარატოლოგი მკვლევრის აზრს, რომ დაბეჭდილი ამბავი და მოყოლილი ამბავი ერთ ჰომოგენურ მიქსტურაში ერთიანდება. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სფერო, რომელსაც განეკუთვნება მწიგნობრობა თუ თხრობა, თვალშისაცემია თუნდაც ერთი მთხრობლის რეპერტუარის ჩარჩოებშიც კი. ნათელია, რომ დიდი ბზარი, რომელმაც ერთხელ ზეპირსიტყვიერების სფერო ლიტერატურისგან გამოჰყო, უნდა გამთელდეს, მაგრამ ბზარი კვლავ არსებობს“ [უორდი 2001: 143]. მედიევისტი როზმარი მორიჯი თავის გამოკვლევაში შუა საუკუნეების ზღაპრის შესახებ ზეპირსიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „ზეპირი სიტყვა ის ძალაა, რომელიც ადამიანის ხმის მუსი-

კალობასა და სილამაზეს ფორმულებად და თემებად აქცევს. ზეპირი სიტყვა იმავდროულად ქმნის ზეპირ რიტმებს – ბგერებს, რომლებიც აყალიბებს მსმენელთა და მთხრობელთა გაერთიანებას, რომელიც არსებობს, როგორც ნარატიული საზოგადოება“ [მორიჯი 2001: 102].

შექსპირის პიესების ფოლკლორული წყაროების კვლევა სიახლე არ არის. ცნობილია, რომ მის პიესებში აღმოსავლური ზღაპრების მოტივებიც გვხვდება, მაგალითად საქმროს არჩევის მოტივი „ვენეციურ ვაჭარში“ მსგავსია ზღაპრისა „ათას ერთი ღამიდან“ [ჰემერიხი 1965: 621-626], ძირითადი მოტივი კი საერთაშორისო – მოვალეს სხეულიდან ხორცის მოჭრა (ATU 890). ასევე საერთაშორისო გავრცელება აქვს პირამოსისა და თისბეს მოტივს „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“ (ATU 899A), „ჭირვეულის მორჯულებას“ (ATU 901), „მეფე ლირს“ (ATU 923) და სხვ.

შვეიცარიელი ლიტერატურათმცოდნისა და ფოლკლორისტის, მაქს ლიუთის მონოგრაფიაში „შექსპირი. სინამდვილისა და არასინამდვილის პოეტი“ ცალკე თავია გამოყოფილი: შექსპირი და ზღაპარი, რომელშიც გამოკვლეულია მისი პიესების ხალხურ ზღაპართან კავშირი [ლიუთი 1964]. შექსპირის პიესების სასიყვარულო ამბები ბევრ რამეში ამჟღავნებს მსგავსებას ხალხური ზღაპრის რომანულ ურთიერთობებთან. მ. ლიუთი პარალელს ავლებს ხალხური პროზის ჟანრებს (ზღაპარი და თქმულება) და შექსპირის პიესებს (კომედიები და ტრაგედიები) შორის: „ფოლკლორულ ჟანრებში ორი ძირითადი ადამიანური მდგომარეობა არის ასახული: შიშნარევი კითხვები, ეჭვი – თქმულებაში, სამყაროს აღტაცებით მზერა – ზღაპარში. ეს პოლარული განსხვავებები შექსპირის ნაწარმოებებშიცაა: ბნელი, მძიმე ტრაგედია თქმულებას შეესაბამება, მსუბუქი კომედია და რომანული ამბები – ზღაპარს. ფოლკლორის ძირითადი ტიპები მაღალ ლიტერატურას შეცვლილი ფორმებით უბრუნდება“ [ლიუთი 1964:74].

პიესებში ვხვდებით არა მხოლოდ ზღაპრის მოტივებს, არამედ ზღაპრის თავისებურებებსაც. მ. ლიუთის დაკვირვებით, ხალხური ზღაპრის კონტრასტული ქორწინებები და შექსპირის გმირების სიყვარულიც მსგავსია. ხალხური ზღაპარი ერთმანეთს აახლოებს სხვადასხვა სოციალურ ფენებსა თუ ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანებს – მწყემსსა და პრინცესას, კონკიასა და პრინცს: „ზღაპარი არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ოცნების პოეზია, არამედ პოეტური მსოფლმხედველობა, რომელიც თავისებურად ხატავს ორ ურთიერთგანსხვავებულ და ერთმანეთისკენ მისწრაფულ პოლუსს, როგორც ამას შექსპირის სასიყვარულო ტრაგედიებში აღმოვაჩინთ: ოტელო, რომეო და ჯულიეტა, ანტონიოსი და კლეოპატრა, ტროილუსი და

კრესიდა“ [ლიუთი 1966:106]. შექსპირის კომედიებში არეკლილი სამყაროს სურათი არ არის უცხო ხალხური ზღაპრისთვის, რომელშიც გმირი იზოლირებულად ჩნდება თავიდან, მაგრამ შემდეგ ღია და უნივერსალურია სხვებთან ურთიერთობებში.

დრამატურგიული ნაწარმოებები და ზღაპრები, ცხადია, არ არის ერთმანეთის იდენტური. შექსპირისეული თხრობის ყველა ფორმა თავისთავადია. ხალხური პოეტიკისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ექსპრესიულობით არის გადმოცემული ცოლ-ქმრის საბოლოო შეყრა „ციმბელინიში“ (მოქმედება V, სცენა V):

Imogen: Why did you throw your wedded lady from you?
 Think that you are upon a rock, and now
 Throw me again.
Posthumus: Hang there like fruit, my soul,
 Till the tree die!³

ხალხური ზღაპრის სტილისთვის არ არის დამახასიათებელი ემოციების გადმოცემა, მაგრამ მისი ტექსტი ყოველთვის იძლევა ინტერპრეტაციების საშუალებას, რასაც შექსპირის დრამატურგიაში ასე მრავლად ვხვდებით.

დასკვნა

ლიტერატურული და ზეპირი სიუჟეტების შესწავლის დროს აუცილებელია არა მარტო მათი კონკრეტული ტიპების გათვალისწინება, არამედ ყველა ჯგუფისა, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, რადგან ინდივიდუალური ტიპის კვლევა მის ჯგუფში შემავალ ყველა დანარჩენ ტიპთან არის დაკავშირებული. ფილოლოგიურ მეთოდებსა და ფოლკლორისტულ კვლევებს შორის განსხვავების არსებობა ხშირად გაუგებრობას იწვევს, რაც ძირითადად ფილოლოგების მხრიდან ფოლკლორისტიკისადმი დამოკიდებულებაში ჩანს. ლიტერატურული და ზეპირი წყაროების ინტერდისციპლინური შესწავლით ნათელი ეფინება სიუჟეტთა საერთაშორისო გავრცელების საკითხს და იმ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ეთნიკურ და კულტურულ გარემოში მოხვედრილ ნარატივს ახასიათებს. ერთი და იმავე სიუჟეტის მრავალ-

3 იმოგენი: რატომ იშორებ შენს მეუღლეს შენგან?
თითქოს კლდეზე იდგე და ახლა
კვლავ ხელს მკრავდე.

პოსთუმუსი: როგორც ნაყოფი ხეზე მიკრული, ჩემო სულო,
ჩემთან იყავი, სანამ ხე მოკვდება.

ფეროვანი ინტერპრეტაციები და სხვადასხვა მნიშვნელობით დატვირთვა გამოხატულება იმისა, რომ მიუხედავად ლოკალური განსხვავებებისა, ის (სიუჟეტი) ყველგან პოპულარულია. პალესტინელი ლიტერატურათმცოდნე და ფოლკლორისტი იბრაჰიმ მუჰავი ევროპული და აღმოსავლური პოპულარული ზღაპრების მაგალითზე მართებულად შენიშნავს, რომ ერთი და იმავე ზღაპრის მრავალრიცხოვანი ვერსიები კულტურულ პრაქტიკასა და ლოკალურ გარემოებებში განსხვავებით აიხსნება, საერთო ჯამში კი ეს ვერსიები დამაკავშირებელი რგოლია, რომელიც მოქმედების სემანტიკასა და კულტურის სემიოტიკას შორის გათიშულობას კვლავ აერთებს [მუჰავი 2001: 263-283].

შექსპირის „ციმბელინი“ და ხალხური ზღაპრის ტიპი ATU 882 ხოტბას ასხამს ქალის ერთგულებასა და პატიოსნებას. ორივეგან, პიესაშიც და ხალხურ ზღაპარშიც ქალის კეთილშობილება უპირისპირდება კაცის საეჭვო საქციელს – სანაძღვოს. არსებობს ნოველისტური ზღაპრების სხვა ტიპებიც უდანაშაულოდ ბრალდებული ქალის შესახებ, მაგრამ არსად არ გვხვდება ისეთი ემანსიპირებული გმირი ქალი, როგორც ATU 882-ში. ქალი შეუპოვრად იცავს თავის სიმართლეს, ამტკიცებს თავის უმწიკვლობას და ბედნიერებასაც აღწევს. სიყვარული და ქორწინება ამ სიუჟეტში უმაღლესი ღირებულებებისაა. ამ სიუჟეტის ინტენსიური გავრცელება მთელ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ თავად თემა მეტად მიმზიდველი იყო მთხრობელისთვისაც და მსმენელისთვისაც. პასიური პერსონაჟი, რომელიც თავიდან მსხვერპლის როლში აღმოჩნდება, გამოავლენს აქტიურ პერსონაჟად გარდასახვის უნარს და თავის თავშივე პოულობს ძალას გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. განსხვავებით შუა საუკუნეების რომანებისგან, რომლებშიც მთავარი პერსონაჟი ქალი არ არის აქტიური და მოქმედების განვითარებაში ხშირად უკანა პლანზეა გადანაცვლებული, შექსპირის იმოგენი ძლიერი ხასიათისა და სიცოცხლისუნარიანია. შექსპირი არღვევს ლამაზი და უდანაშაულო მსხვერპლის როლში მყოფი ქალის კლიშეს და, პირიქით, აქტიურ, ქველმოქმედ და მიზანსწრაფულ პერსონაჟს ქმნის. სწორედ ამ მიზანსწრაფულობითა და დაუღალავი მოძრაობით მისი პიესის გმირი გაცილებით ახლოს დგას ხალხურ ზღაპართან, ვიდრე ლიტერატურულ ნაწარმოებებთან.

დამოწმებანი

- ესკობედო 2008:** Andrew Escobedo, “From Britannia to England: Cymbeline and the Beginning of Nations” in: *Shakespeare Quarterly*, Volume 59/1, Spring 2008, pp. 60-87.
- ვანია 1987:** Konrad Vanja, “Genovefa” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 5. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1987, S. 1003-1009.
- ვოლფი 1995:** Alois Wolf, Heldensage und Epos. Zur Konstituierung einer mittelalterlichen volkssprachlichen Gattung im Spannungsfeld von Mündlichkeit und Schriftlichkeit. Tübingen, Gunter Narr, 1995.
- კოლი 1988:** Stephan Kohl, “Fingierte Mündlichkeit: Erzähler in mittelenglischer Literatur” in: *Mündlichkeit und Schriftlichkeit im englischen Mittelalter*. Herausgegeben von W. Erzgäber und S. Volk. Tübingen, Gunter Narr, 1988, S. 133-146.
- ლიუთი 1964:** Max Lüthi, Shakespeare. Dichter des Wirklichen und des Nichtwirklichen. Bern/München, Franke, 1964.
- ლიუთი 1966:** Max Lüthi, Shakespeares Dramen. Berlin, Walter de Gruyter, 1966.
- მააცი 1990:** Wolfgang Maaz, “Hildegardis” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 6. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1990, S. 1017-1021.
- მელეტინსკი 1983:** Элеазар М. Мелетинский, Средневековый роман. Москва, Наука, 1983.
- მობერი 1977:** Dietz-Rüdiger Moser, “Altersbestimmung des Märchens” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 1. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1977, S. 407-419.
- მობერ-რათი 1981:** Elfriede Moser-Rath, “Cymbeline” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1981, S. 190-197.
- მობერ-რათი 1987:** Elfriede Moser-Rath, “Frau” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1987, S. 100-137.
- მორიჯი 2001:** Rosmarie Thee Morewedge, “Orality, Literacy and the Medieval Folktale” in: *Varieties and Consequences of Literacy and Orality. Formen und Folgen von Schriftlichkeit und Mündlichkeit*. Franz H. Bäuml zum 75. Geburtstag. Herausgegeben von U. Schaefer und E. Spielmann. Tübingen, Gunter Narr, 2001, S. 85-106.
- მუჰავი 2001:** Ibrahim Muhawi, Gender and Disguise in the Arabic „Cinderella”: A Study in the Cultural Dynamics of Representation” in: *Fabula. Zeitschrift für Erzählforschung*. Band 42, Heft 3/4, 2001, S. 263-283.
- უთერი 1981:** Hans-Jörg Uther, “Crescentia” in: *Enzyklopädie des Märchens*. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1981, S. 167-171.

- უორდი 2001:** Donald Ward, “Do Märchensingverse Indicate Orality?” in: *Varieties and Consequences of Literacy and Orality. Formen und Folgen von Schriftlichkeit und Mündlichkeit. Franz H. Bäuml zum 75. Geburtstag. Herausgegeben von U. Schaefer und E. Spielmann.* Tübingen, Gunter Narr, 2001, S. 125-148.
- ფონ სიდოვი 1965:** Carl Wilhelm von Sydow: “Folktale and Philology: Some Points of View” in: *The Study of Folklore (Ed. Alan Dundes).* Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J. 1965, pp. 219-242.
- შექსპირი 1912:** შექსპირის ოტელლო, ჰამლეტ და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნაამბობი სამსონ ყიფიანის მიერ. მეორე გამოცემა. ქუთაისი, თ. მთავრიშვილის და აშხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა, 1912.
- შექსპირი 2001:** William Shakespeare, “Cymbeline” in: *The Complete Works of William Shakespeare.* Midpoint Press, 2001, pp. 617-640.
- ჰემერიხი 1965:** Gerd Hemmerich, “Das Märchen vom Prinzen Ahmed und der Fee Peri Banû” in: *Antaios. Zeitschrift für eine freie Welt. Herausgegeben von M. Eliade und E. Jünger.* Band 6, 1965, S.621-626.

შემოკლებანი

ATU: Hans-Jörg Uther, *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Animal Tales, Tales of Magic, Religious Tales, and Realistic Tales, with an Introduction.* Helsinki, Academia Scientiarum Fennica, 2004.

ლიტ. ინსტ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის მონაცემთა კომპიუტერული ბაზა – არმაზი. კავკასიური ენებისა და კულტურების ელექტრონული დოკუმენტირების საფუძვლები: <http://titus.fkldg1.uni-frankfurt.de/database/folkarch/query.htm#inpform>